 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო

АҨСНЫТӘИ АВТОНОМТӘ РЕСПУБЛИКА АГӘАБЗИАРАХЬЧАРЕИ АСОЦИАЛТӘ
АХЬЧАРЕИ РМИНИСТРРА

**MINISTRY OF HEALTH AND SOCIAL AFFAIRS
OF AUTONOMOUS REPUBLIC OF ABKHAZIA**

N 1236
25/04/2020

1236-1-2-202004251714

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს
ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

ქალბატონო ეკატერინე,

მოგეხსენებათ, თქვენდამი დაქვემდებარებული უწყების მიერ რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის განხორციელებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კონფლიქტის შედეგად დაშიროშორებული საზოგადოების ნდობის აღდგენის პროცესში, რასაც ცხადყოფს ყოველწლიურად ოკუპირებულ ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები პირების გაზრდილი მომართვიანობა და სტატისტიკა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო მადლობას გიხდით ეთნიკურად აფხაზი პაციენტის - რაულ ლადარიას მიმართ გამოჩენილი გულისხმიერებისა და მის გადასარჩენად გაწეული დახმარების გამო. რ. ლადარია მიმდინარე წლის 14 თებერვალს გადმოყვანილი იქნა კატასტროფის ბრიგადის მიერ ოკუპირებული აფხაზეთიდან ჯანმრთელობის უმძიმესი მდგომარეობით და მოთავსდა შპს ,,აკ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნულ ცენტრში“. ქართველმა ექიმებმა ყველაფერი იღონეს და მკურნალობის სწორი ტაქტიკის შერჩევის შედეგად ფაქტობრივად უპერსპექტივო პაციენტს სიცოცხლე შეუნარჩუნეს, რისთვისაც ოჯახის წევრები და ახლობლები უდიდეს მადლიერებას გამოხატავენ საქართველოს ხელისუფლებისა და ჯანდაცვის სისტემის მიმართ.

რ. ლადარიას მკურნალობის ხარჯებმა დადგენილ ლიმიტს გადააჭარბა. პაციენტს დადებითი დინამიკის შენარჩუნებისა და გამოჯანმრთელებისთვის ესაჭიროება გარკვეული პერიოდის განმავლობაში სტაციონარში სამედიცინო მომსახურებს მიღება, რაც დამატებით თანხებთან არის დაკავშირებული.

საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №16; ☎ (+995 551) 08 09 84
№16, ave. Vazha-Pshavela Tbilisi, Georgia; ☎ (+995 551) 08 09 84 contactus@mhsa.gov.ge

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, გამოიჩინოთ ჩვეული გულისხმიერება და გამონაკლისის სახით განიხილოთ აფხაზი ბენეფიციარის - რაულ ლადარიას მკურნალობის ხარჯების სრულად ანაზღაურების საკითხი.

დანართი: ,,9“ ფურცლად.

უღრმესი პატივისცემით,

ქეთევან ბაკარაძე

მინისტრი